

ერთადერთი მისამართი, სადაც მიხეიდ სააკაშვიდმა უნდა იაროს, პროკურატურაა - ანი მიროტაძე

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ანი მიროტაძე მიხეიდ სააკაშვიდის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება, რომელშიც ექსპრეზიდენტმა საქართველოში დაბრუნება დაანონსა.

როგორც მიროტაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, სააკაშვიდი საქართველოში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს და ერთადერთი მისამართი, სადაც მან ხშირად უნდა იაროს, ეს არის მთავარი პროკურატურა.

“ერთადერთი მისამართი, სადაც მან ხშირად უნდა იაროს, ეს არის მთავარი პროკურატურა, სადაც აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი იმ ძალიან მნიშვნელოვან კითხვებზე, რომელიც მთელი ქვეყნის მოსახლეობას აქვს,” – განაცხადა მიროტაძემ.